ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 130

ქალაქი ქუთაისი 12 დეკემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №49ᵃ-ს მიმდებარედ,
სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში,
მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების
დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №49ᵃ-ს მიმდებარედ, სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

(მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია